ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6992106

ნომერი: AR11028010

თარიღი : 05.04.2024

გაცემის თარიღი : 19.04.2024

გაცნობის თარიღი : 19.04.2024

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მარნეულის ქუჩა N42;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია კახნიაშვილი პ/ნ 59004000330
- თბილისი დიდი დიღომი III მ/რ კორ. 3 ბ. 128

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 05 აპრილის №AR11028010 განცხადებით მომართა მაია კახნიაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს

№6633115 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებით №01.18.12.021.002 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა ქარხნის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 25 აგვისტოდან 2025 წლის 25 აგვისტოს ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მითითებასთან დაკავშირებით, გამორჩენილია შენობა №3 ავტოსადგომისა და შენობა №4 დამხმარე ფართობები. შესაბამისად ითხოვს ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს დაემატოს ავტოსადგომის ფართობი 73.5 კვ.მ. ასევე ითხოვს დამხმარე ფართობად 27.6 კვ.მ-ის ნაცვლად 248.7 კვ.მ-ის, ხოლო საერთო ფართობაად 1031.8 კვ.მ-ის ნაცვლად 1326.4 კვ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებით შეთანხმებული შენობა №3 (73.50 კვ.მ) წარმოადგენს ავტოსადგომს, ხოლო შენობა №4 (221.1 კვ.მ) დამხამრე ფართობს. შესაბამისად, ტექნიკური შეცდომის შედეგად აღნიშნული ფართის ფართობები არ ასახულა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,
ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებაში და ტექნიკურ - ეკონომიკურ მაჩვენებლებში ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 73.50 კვ.მ., დამხმარე ფართობად 248.7 კვ.მ., საერთო ფართობად დაფიქსირდეს - 1326.4 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 25 აგვისტოს №6633115 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.